პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

ხუთშაბათი 30 მარტი 1978 წ. № 75 (17119) ფასი 2 კაპ.

ხუთშაბათის ადამიანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

ბრიგადული იჯარა — თითოეულ მშენებლობაზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი, თუ როგორ ინერგება რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში ბრიგადული იჯარა. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსმა გ. ბრეგვაძემ და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ა. კოკლატაძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში განხორციელდა გარკვეული მუშაობა ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის ახალი ფორმის — ბრიგადული იჯარის პროპაგანდისა და დანერგვისათვის.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მშენებლობებზე ბრიგადული იჯარის დანერგვა დაიწყო 1971 წლიდან და თუ თავდაპირველად ბრიგადების რაოდენობა ოცს არ აღემატებოდა, 1978 წლის 1 იანვრისათვის ამ მეთოდით მუშაობდა 600-ზე მეტი ბრიგადა ანუ ბრიგადების საერთო რაოდენობის 28,6 პროცენტი. 1977 წელს ამ ბრიგადებმა შეასრულეს 127,4 მილიონი მანეთის სამუშაოები ანუ შესრულებულ სამუშაოთა საერთო მოცულობის 25 პროცენტი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს „თბილისკალაქმშენის“ № 14 ტრესტის ბაზაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად 1976 წელს შეიქმნა ბრიგადული იჯარის დანერგვის მოწინავე გამოცდილების სკოლა, სადაც წარმოებას მოწყვეტით სწავლობენ მუშები, ბრიგადირები, ოსტატები, სამუშაოთა მწარმოებლები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სამშენებლო სამმართველოებისა და ტრესტების მოსამსახურეები და ხელმძღვანელი მუშაკები. მარტო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სკოლის ორგანიზაციამ ხელი შეუწყო იმას, რომ ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი თითქმის ერთისამად გაზრდილიყო 1975 წლთან შედარებით.

სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად შეიმუშავეს და გამოსცეს ბრიგადული იჯარის დანერგვის ორგანიზაციის მეთოდიკური მითითებანი და რეკომენდაციები. გაიმართა ზონალური თათბირები რესპუბლიკის მშენებლობაში ბრიგადული იჯარის დანერგვის მიმდინარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ დადგენილია, რომ ხუთწლედის დამლევისათვის ბრიგადული იჯარის მეთოდით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა საბინაო მშენებლობაში უნდა გაიზარდოს 70-80 პროცენტამდე, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო მშენებლობაში — 60-70 პროცენტამდე, ხამრეწველო მშენებლობაში — 25-30 პროცენტამდე. ბრიგადული იჯარის დანერგვას კანონის ძალა მიენიჭა და სავალდებულო გახდა სამშენებლო ორგანიზაციებისათვის.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ მეთოდით მომუშავე ბრიგადებში უმჯობესდება მშრომელთა პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა, მცირდება დაბალკვალიფიციური ხელის შრომის ხვედრითი წონა და შესაბამისად იზრდება იმ მუშათა რიცხვი, რომლებიც დაუფლებული არიან ორ-სამ მომიჯნავე სპეციალობას, მნიშვნელოვნად უმჯობესდება მუშათა მატერიალური მდგომარეობა, მაჩქარდება მათი საზოგადოებრივი აქტიურობის დონე, იზრდება ინტერესი რაციონალიზატორული საქმიანობისადმი, უმჯობესდება სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი კოლექტივში, რაც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას.

ამასთან ერთად სხდომაზე აღინიშნა, რომ ბრიგადული იჯარის მეთოდი რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში დამაკმაყოფილებლად არ ინერგება და კომისიამ ხერხოზული შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ამ მეთოდის გავრცელების ტემპი ვერ უზრუნველყოფს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებას.

აღინიშნა, რომ სამშენებლო ორგანიზაციებმა 1977 წელს ვერ შეასრულეს ბრიგადული იჯარის დანერგვის სოციალისტური ვალდებულებანი. მაგალითად, მშენებლობის სამინისტროს სისტემაში (მინისტრი — ნ. მეძმარიაშვილი) იკისრეს ვალდებულება 1977 წელს ბრიგადული იჯარის მეთოდით მომუშავე მონარდე მუშათა რიცხვი გაედიდებინათ 45 პროცენტამდე, ფაქტიურად ამ მეთოდით შრომობდა მონარდე მუშათა საერთო რიცხვის მხოლოდ 24,6 პროცენტი. სასოფლო მშენებლობის სამინისტროში (მინისტრი — ი. ხარატიშვილი) იკისრეს ვალდებულება ნ. ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი გაედიდებინათ 30 პროცენტამდე, ამ მეთოდით კი მუშაობდა საერთო რიცხვის მხოლოდ 27,2 პროცენტი. „სხემთავარმონტაჟსპეცმშენში“ (უფროსი — შ. ბუხრაშვილი) იკისრეს ვალდებულება ამ მეთოდზე გადაეყვანათ მონარდე მუშათა დაახლოებით 35 პროცენტი, ფაქტიურად კი გადაყვანილია მხოლოდ 17 პროცენტი.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშენებლობაში ბრიგადული იჯარის არადამაკმაყოფილებელი დანერგვის მიზეზია ის, რომ ამ აზოგების გადწყვეტას მშენებლობების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდება. იქ, სადაც ამ მეთოდის დანერგვას სათანადო ყურადღება ეთმობა (№№ 14, 15 ტრესტები, ქალაქ ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატი), შედეგებიც კარგი აქვთ. ხოლო ქალაქების ბათუმის, რუსთავისა და გორის ახეთივე პირობებში მყოფი სახლთსაშენებელი კომბინატები, რომლებიც საბინაო მშენებლობას ეწევიან, ფორმალურად უდგებიან ზლობინის მეთოდის დანერგვას. ანალოგიური მდგომარეობაა მშენებლობის სამინისტროს №№ 4 და 13 ტრესტებში, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №№ 1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 11 ტრესტებში. კიდევ უფრო უარესად არის საქმე სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის 37-ე და 38-ე № 5 ტრესტის 64, და 48-ე მოძრავ მექანიზებულ კოლონებში, № 8 ტრესტის 65-ე და № 11 ტრესტის 36-ე მოძრავ მექანიზებულ კოლონებში, სადაც ბრიგადული იჯარის მეთოდი საერთოდ არ დანერგილა.

აღინიშნა, რომ ბრიგადული იჯარის დანერგვისადმი ფორმალური დამოკიდებულებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების ჩაშლის შედეგად ამ მეთოდით მომუშავე ბრიგადები ვერ ასრულებენ გეგმებს. მაგალითად, № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოში, სადაც უველა ბრიგადა გადაყვანილია ნ. ზლობინის მეთოდზე, ვერ შეასრულეს საგეგმო დავალებანი. ხელფასის ზრდის ტემპი უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს, არ არის შესრულებული საცხოვრებელი ფართობის ხაუქსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა.

ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციაში მიმართავენ ასეთ პრაქტიკას: დროებით მუშებს იწვევენ ობიექტების ჩაბარების პერიოდში - ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადებისათვის დასმარების გასაწევად, რაც მეთოდის არსის დამახინჯებაა.

კომისიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა უხეშად არღვევს ბრიგადული იჯარის დებულების მოთხოვნას შრომელთა მატერიალური სტიმულირების დარგში. და ამ მეთოდით მომუშავე ბრიგადების გასამჯელოს არ იღებენ დაზოგვისათვის, რომელსაც შესრულებულ სამუშაოთა გაანგარიშებული ღირებულების შემცირებით მიაღწიეს.

რესპუბლიკაში ბრიგადული იჯარის არადამაკმაყოფილებელი დანერგვის ძირითადი მიზეზი ის არის რომ ხელმძღვანელებს ჯეროვანი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის, სამინისტროები და უწყებები შემიგებლურად ეკიდებიან სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბრიგადული იჯარის დანერგვისათვის, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგები ხმტკიცეს არ იჩენენ ბრიგადული იჯარის დანერგვის საკითხებზე საკუთარი გადწყვეტილებების შესრულებაში, არ იციან როგორია ფაქტიურად საქმის მდგომარეობა ადგილებზე, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობისადმი.

საგანგებოდ აღინიშნა შრომისა და ხელფასის განყოფილებების დაბალი მმართველობენელი როლი, რომლებსაც ბრიგადული იჯარის დანერგვისათვის პრინციპული და უკომპრომისო ბრძოლის ნაცვლად თავიანთ ფუნქციად მიღებული დოკუმენტების გაფორმება ჰგონიათ და ჯეროვან გავლენას არ ახდენენ ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებაზე.

ბრიგადული იჯარის დანერგვის საკითხებზე პრაქტიკულად არ მუშაობენ საინჟინრო სამსახურები.

აღინიშნა, რომ პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა უფრო ეფექტიანად უნდა წარმართოს მუშაობა სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

სხდომაზე უყურადღება დაეთმო იმას, რომ ბევრზე არაეფექტიანად მუშაობენ მშენებლობის სამინისტროს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, „სამთავარმონტაჟსპეცმშენის“ და სხვა ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიები, რომლებმაც რეგულარულად უნდა გაუწიონ კონტროლი რესპუბლიკაში ბრიგადული იჯარის დანერგვის მდგომარეობას, გამოავლინონ ნაკლოვანებანი და ფორმალიზმის ელემენტები ამ მნიშვნელოვან საქმეში.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ბრიგადული იჯარის დანერგვას ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რადგან ბრიგადული იჯარის მეთოდი ხელს უწყობს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაში წამატებების აღმოფხვრას.

სხდომაზე გამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის წევრები: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კაკნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ხ. ხაბიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოხაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ჯაფარიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულთაძე, საქინფორმის დირექტორის მოადგილე ზ. ლომაძე, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ზ. დვალი, აგრეთვე მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ხაწარმოო-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ა. მარტიროსოვი, № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოსა და № 10 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების ბრიგადირები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. გალდავა და ა. ინასარიძე.

სხდომის შედეგები შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

რესპუბლიკურმა კომისიამ შესაბამისი რეკომენდაციები შეიმუშავა ბრიგადული იჯარის დანერგვად გაწეული მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის. (საქინფორმი).

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი!

ლენინურ შაბათობაზე

დაზოგილი ნედლეულით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ლენინური შაბათობის — 22 აპრილის აღსანიშნავად ენგურის ელეფლოზისა და ქაღალდის კომბინატის კოლექტივი ამთავითვე ემზადება წინასწარი მონაცემებით, ამ დღეს დამკვრელურად იმუშავებს წარმოების თხუთმეტივე საამქროს 1.200 მუშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. დაზოგილი ნედლეულით გამოშვებული იქნება 90 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

ქოგულეთელთა წვლილი

ქოგულეთი. (საკ. კორ.). რაიონის სამრეწველო კომბინატის მუშა-მოსამსახურეები აქტიურად ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 108-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ლენინური შაბათობის მიღალ დონეზე ჩასატარებლად. შედგენილია შაბათობის გეგმა. 22 აპრილს კომბინატში ჩვეულებრივი სამუშაო დღე იქნება. კოლექტივმა იკისრა ალიღებულა გამოუშვას 8 ათასი მანეთის მეოცალი ხარისხის პროდუქცია. გამომუშავებულ 300 მანეთს მთლიანად გადარიცხავენ მეათე ხუთწლედის ფონდში.

შრომის დღესასწაულზე

ამბროლაური. (საკ. კორ.). მოსკოვიდან პატრიოტულ თათბირებს — 22 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა, რაიონში ერთ-ერთი პირველი გამოეწმაურა სამთო-ქიმიური ქარხნის კოლექტივი. ამ დღეს ანობით ქიმიკოსი ჩვეულებისამებრ პროდუქციის შექმნაზე იმუშავებს. გთვალისწინებულია დამზადდეს ათასობით მანეთის ქიმიური პროდუქცია, და გამომუშავებული თანხა ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება.

წელს შაბათობაზე შარშანდელზე მეტ პროდუქციას გამოუშვებენ საკონსერვო ქარხნის, საგზაო-სამშენებლო სამმართველოსა და სადმლის ხატეო კომბინატის კოლექტივები. რაიონში „წითელ შაბათობაში“ ერთსულოვნად მიიღეს მონაწილეობას 8600 კაცი და დამზადდება 9700 მანეთის პროდუქცია.

გაზაფხული სოფლად

ხნავენ, სასუქი შეაქვთ

ხობი. („კომუნიზმის“ კორ.). ახალ ხიბულეს კოლმეურნეობაში სიმინდის დასათესად ნიადაგი 450 ჰექტარზე ჯერ კიდევ ადრე მოხნეს. ახლა ტრაქტორისტები ავთანდილ კეშულარია, ჯემალ გოგია, ოური კვირკვია აწარმოებენ ნიადაგის ბადაზვნას, სასუქის შეტანას. ამ დღეებში შეუდგებიან სიმინდის თესვას, ამისათვის კოლმეურნეობაში დროულად და საკმაზოზე მეტი მოიმარაგეს დაყალიბებული და დარაიონებული სიმინდის თესლი.

მხვნელ-მთესველებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა წელს საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მიიღონ შარშანდელი 51 ცენტნერის ნაცვლად.

ახალხიბულელები რომლებიც მთლიანად და სავსებით იწონებენ საქართველოს სსრ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტს, ჩაის პლანტაციებში საპუნაოდ ხელსაყრელ არც ერთ საათს უქმად არ კარგავენ. მათი პირობაა წელს მოკრიფონ და ხანგლმწიფოს მიჰყიდონ 1.400 ტონა ჩაის ნედლეული. ეს შარშანდელს 200 ტონით ჭარბობს. პირობის შესასრულებლად პლანტაციებში ბეჯითი შრომაა გაჩაღებული. უკვე დამთავრდა ბუჩქების შემობარვა ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანით, დასასრულს უახლოვდება პლანტაციების სხვლა.

ამზადებენ ნიადაგს

ჭიათურა. (საკ. კორ.). რომ იტყვიან, ქუდზე კაციო, სწორედ ისე გამოსულან სამუშაოდ მანდაფთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. ზვრებსა და ჩაის პლანტაციებში გაეკეთ ორგანული სასუქები, წმენდნენ სადრენაჟო არხებს.

ამთავითვე დაუქირაოთ თადარიგი მეურნეობის მექანიზატორებს. სათესი ფართობების მეტი ნაწილი მოხნულია მზრალად და აგროტექნიკური ვადების დდგომისთანავე დაიწყება თესვა.

საწარმოებსა და პლანტაციებში

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მეთაური საწარმოს კოლექტივმა გამოუშვა ეკ-14 სამრეწველო ელმავლის საცდელი ნიმუში. იგი თავის წინამორბედთაგან გამოირჩევა კვებისა და ხიჩქარეთა რეგულირებას ქქემთ. ამ ხაიხლემ მართვა მოქნილი გახადა, აამაღლა ხიმედოობა ექსპლოატაციის დროს.

ამჟამად ახალი ელმავალი ხაჭარხნო გამოცდას გადის. უველა ამ ხამუშაოს დამთავრების შემდეგ დაიწყება პროდუქციის სერიული გამოშვება.

თბილისხმარკიან ხამრეწველო ელმავლებზე დიდი მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ირანში, პაკისტანში, ალჟირში, ინდოეთში, ყველა სოციალისტურ ხახელმწიფოში.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ელექტრომემონტაჟეები ფირუზ ოჭრიშიძე, ვაჟა მელშვილი, ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ მეტონიძე, ამწეკოი ზეინკლები ლონგინოზ ნასყიდაშვილი და ოთარ მამულოვი, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ახალი ხამრეწველო ელმავლის შექმნაში. მათ ვალდებულება აიღეს ხუთწლედის მესამე წლის გეგმა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის შეასრულონ.

3. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებს 620 ჰექტარი უჭირავს. შარშან აქ მოკრიფეს და ხახელმწიფოს მიჰყიდეს 4.765 ტონა ნედლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.250 ტონისა. საბჭოთა მეურნეობის მოგებამ ორ მილიონ მანეთს გადააჭარბა. მეურნეობაში მაღალია შრომატევად ხამუშაოთა მექანიზაციის ხვედრითი წონა.

ნალენჯიხელი მეჩაიეები ხუთწლედის მესამე წლის სეზონისათვის ემზადებიან და ამთავრებენ ბუჩქების გასხვლა-ფორმირებას, ნიადაგში შეაქვთ მინერალური ხასუქების მეორე დოზა.

სურათზე: საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი, შრომის ორდენის მექანიზატორებს. ხათესი ფართობების მეტი ნაწილი მოხნულია მზრალად და აგროტექნიკური ვადების დდგომისთანავე დაიწყება თესვა.

29 მარტი

„პრავდის“ ფურცლებზე

გაზეთის მოწინავე სტატიაში „კოოპერაციის საფუძველზე“ ლაპარაკია იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეობათშორისო კოოპერაციის ბაზაზე წარმოების შემდგომ სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

ეს პროცესი, როგორც გაზეთი აღნიშნავს უფრო და უფრო აქტიურად მოიცავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სხვადასხვა დარგს, უპირველეს ყოვლისა, მშენებლობას, მეცხოველეობას, საკვების დამზადებას, ტექნიკურ და აგროქიმიურ მომსახურებას. მარტო გასულ წელს კოოპერატიულ საფუძველზე ამოქმედდა რვასამდე დაწესებულება. მთელ ქვეყანაში კი მათი რაოდენობა 7,3 ათას აღემატება.

მრავალწლიანმა პრაქტიკამ საეჭვებით დაადასტურა, რომ სამეურნეობათშორისო კოოპერაცია ნაცადი გზაა წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის. იგი საშუალებას გვაძლევს სოფლის ეკონომიკის მნიშვნელოვან უბნებზე თავი მოვიყაროთ ძალასა და საშუალებებს, შევიქმნათ ინდუსტრიული ტიპის წარმოება, გავაღრმაოთ სპეციალიზაცია და გავაძლიეროთ ყველა დარგის კონკურენტუნარიანობა, შევამცეროთ შრომის დანახარჯები.

ამ მნიშვნელოვან საქმეში, როგორც სტატიაში ხაზგასმულა, დიდი როლი უნდა შეასრულონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. ღრმად უნდა შეიისწავლოთ მოწინავე კოლექტივების გამოცდილება, კოოპერაციის განვითარების შესაძლებლობანი და თანმიმდევრულად განვახორციელოთ დასახული პროგრამა.

რუბრიკიდან „პარტიული ცხოვრება: წინა ხაზზე“ გამოქვეყნებულია ა. შტეინვანდისა და ა. მაკარენკოს წერილები, რომლებშიც ავტორები კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენებენ, რომ კომუნისტი ხელმძღვანელების ორგანიზატორულ როლზე, მათს კომპეტენტურობასა და მორალურ თვისებებზე ბევრად არის დამოკიდებული კოლექტივის წარმატებული საქმიანობა.

გაზეთის მეორე გვერდზე მოთავსებულია სსრ კავშირის გზათა მინისტრის ი. პავლოვსკის სტატია „ეკონომიკა და ტრანსპორტი“, რომელშიც გაეცნობით ხუთწლედის მესამე წელს რკინიგზელთა სოციალისტურ ვალდებულებებს, შემხვედრ გეგმებს, მათს ბრძოლას მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

ნომერში წაიკითხავთ გამოჩენილი ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აიტმატოვის სტატიას „აღმაფრენა, ოსტატობა“, რომელიც ეძღვნება ცნობილი მომღერალს ირინე არხიპოვას. დიდი თეატრის ეს ცნობილი სოლისტი წარდგენილია ლენინურ პრემიაზე. სტატიაში ნათელი ფერებით, დამაჯერებლად არის დახასიათებული ი. არხიპოვის ხელოვნება.

გაზეთში უხვად არის წარმოდგენილი მასალები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, დაბეჭდილია სპორტული და კულტურული ცხოვრების ამსახველი ინფორმაციები.

ПРАВДА

ლ. ი. ბრეჟნევი ციმბირში მოგზაურობს

29 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი მატარებლით მოგზაურობის დროს ცოტა ხნით გაჩერდა კიროვში, უდმურტეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და პერმში. მას გულთბილად მიესალმნენ სკკპ კიროვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. პ. ბეხპალოვი, სკკპ უდმურტეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კ. მარინოვი, სკკპ პერმის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. კონოპლიოვი.

ყველგან, სადაც კი ლენინდ ილიიჩ ძე ბრეჟნევი გაჩერდა, მას ვულოთადად მიესალმებოდნენ ქალაქებისა და რაიონების მცხოვრებნი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საოლქო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ითხოვა დიდი შრომითი წარმატებანი უსურვონ შრომელებს ამ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ხუთწლედის მესამე, დამკვრელურ წელს.

(საკდესი).

მ. მინიჩი სამშობლოს გაემგზავრა

29 მარტს სამშობლოს გაემგზავრა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივანი მ. მინიჩი, რომელიც ხანმოკლე საქმიან ვიზიტად იყო ჩამოსული მოსკოვში.

აეროდრომზე მ. მინიჩი გაეცალეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვ. რუსაკოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამგზავრების წინ მ. მინიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კმაყოფილია ვიზიტის შედეგებით და საუბრით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან, რომელსაც გადასცა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ი. ბროზ ტიტოს წერილი. მოხარული ვარ, თქვა მ. მინიჩმა, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ასე კარგად და წარმატებით ვითარდება ყველა დარგში. (საკდესი).

გამოუშვა პოლიტიკურმა გამოშვებელობამ

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოაქვეყნა მეთერთმეტე ტომი დოკუმენტების კრებულისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“ (ბერეზ, შევსებული გამოცემა).

ტომში შეტანილია 1972 წლის იანვარ-1975 წლის მარტის უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები.

როგორც ხაზგასმულია გამოცემის წინასიტყვაობაში, ეს დოკუმენტები მოწმობს პარტიის დიდ პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ საქმიანობას, რომლის მიზანი იყო მეცხრე ხუთწლედის წლებში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივის მობილიზაცია კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების შესასრულებლად წარმატებული ბრძოლისათვის, საერთაშორისო ვითარებაში ახალი პოზიტიური ცვლილებების მიღწევა.

გამოცემა დასაბეჭდად მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა კ. უ. ჩერნენკოს და ა. გ. ეგოროვის საერთო რედაქციით. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ფინეთში გამგზავრების შესახებ

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენისა და ფინეთის მთავრობის მოწვევით ამა წლის აპრილის დამდეგს ჰელსინკში ჩავა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 30-ე წლისთავის ზეიმში. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1978 წლის 24 მარტს 81 წლისა გარდაიცვალა სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერი

ბრიგოლ სიმონის ძე კიკნაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

„მცირე მიწის“ დიდი გაკვეთილი

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნის „მცირე მიწის“ ქართულად გამოცემის გამო

არის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნებისთანავე საყოველთაო ყურადღების საგანი ხდება. ისინი დროის მოთხოვნილებას გამოხატავს არა მხოლოდ იმის გამო, რომ რაიმე ღირსშესანიშნავ თარიღს ეხმაურება, არამედ იმ უფრო არსებითი მიზეზითაც, რომ მათი შინაარსი თვით ცხოვრების, საზოგადოების, ადამიანთა ამყამინდელი სულისკვეთების ამსახველია.

ასეთი ნაწარმოებია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებათა წიგნი „მცირე მიწა“, რომელმაც ფართო გამოძახილი პოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. ბუნებრივია, რომ „მცირე მიწას“ უპირველეს ყოვლისა გამოხმაურნენ ომის ვეტერანები, კერძოდ, ამ დიდად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციის მონაწილეები.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებები მრავალმხრივ საგულისხმო ნაწარმოებია და შესაბამისად მკითხველის მრავალმხრივ ინტერესს იწვევს. მე მინდა მისი შინაარსის ერთ ნიშანდობლივ თავისებურებაზე გავამახვილო ყურადღება.

მალე 33 წელი შესრულდება, რაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. მაგრამ მისი მოგონება გამუდმებით ცოცხლობს ადამიანთა მეხსიერებაში. ამ დროის მანძილზე ჩვენშიც და უცხოეთშიც დაიწერა უამრავი წიგნი ომზე — მოგონება, ნარკვევი, მეცნიერული გამოკვლევა. ლექსი, მოთხრობა, რომანი, პოემა, შეიქმნა კინოსურათები, ფერწერული ტილოები, დადგა ქანდაკებები...

ომი ჩვენი პლანეტის ზედაპირს მარტო მის მიერ დატოვებული ავისმეტყველი ალსაბეჭდებით, კი არ დაჩნევია, არამედ ადამიანთა მიერ მის სახსოვრად აღმართული მრავალი ძეგლითაც.

ომს მოჰკვა ჩვენი საელჩისათვის გადამწყვეტი პოლიტიკური შედეგები: გლობალური მნიშვნელობის ცვლილებები მსოფლიოს რუკაზე, საერთაშორისო ურთიერთობის, სახელმწიფოებრიობის, საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების სფეროში. ომის გამოცდილებამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა სამხედრო მეცნიერებაში — სტრატეგიის, ტაქტიკის, საომარი ტექნიკის დარგში.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მეორე მსოფლიო ომს ჰქონდა თავისი ღრმა ადამიანური შინაარსიც. ეს იყო ადამიანის სულისა და ზნეობის დიდი გამოცდა, ყველზე დიდი იმ განსაცდელთა შორის, რაც კაცობრიობას მთელი მისი არსებობის მანძილზე შეხვედრია.

ომზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის გამსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება იმ პირთა თხზულებებს, რომლებმაც თვალსაჩინო როლი შეასრულეს მის მსვლელობაში — გამოჩენილი სახელმწიფოთ და სამხედრო მოღვაწეების მრავალფეროვნად მემუარებს. ომზე წერდნენ და წერენ ჩვენი მტრებიც — ყოფილ რაიხის გენერლები და ჩვენი ომისდროინდელი მოკავშირეებიც (საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს, კერძოდ, დე გოლის დიდად საინტერესო სამხედრო მეუარებს და სხვ.).

მკითხველთა ფართო წრეებში გასაგები ინტერესი გამოიწვია ჩვენი სახელოვანი მხედართმთავრების მოგონებებმა. ყველა ამ წიგნს დღემდე ცხოველი გულისყურით კითხულობენ, მათი თურცლებიდან ჩვენს თვალწინ იშლება ვრცელი პანორამა საბრძოლო ვითარებისა, თვალნათლივ წარმოდგება დიდი სამამულო ომის გენერალური გეგმა და ცალეული ეტაპები. მკითხველი ოგებს, რა იგულისხმებოდა, რა კონკრეტული შინაარსი იდგა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ძუწი ცნობებისა და უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებათა მიღმა.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებში მოქმედების მთავარი არე შემოფარგლულია სამამულო ომის ერთი ეპიზოდით, ერთი ლოკალური წერტილით. როგორც ტექსტშია აღნიშნული, ეს წერტილი გეოგრაფიული კაგებით არც არსებობს. მაგრამ დედამიწის ამ მცირე მონაკვეთზე დატრიალებულ ამბებში გარკვეით მოჩანს ომის მთავარი „დრამატურგია“, არა მხოლოდ ის, თუ როგორ ხორციელდებოდა პრაქტიკულად ჩვენი მხედართმთავრობის გეგმები, როგორ იქედებოდა უძნელესი გამარჯვება, არამედ ისიც, თუ რა ხდებოდა ეკიცლის ხაზზე მყოფ ადამიანთა ცნობიერებაში, რა კვალს ტოვებდა და რა ძმპლულებს იწვევდა მათი სულის სიღრმეში საომარი მოქმედების ყოველი დღე და საათი.

ადამიანური ყოფიერების შინაგანი სურათი „მცირე მიწაში“ გამოუმჟღავნა თან სდევს მთელ მოქმედებას, გარკვევით ოგრძნობა ამ მოქმედების ყველ ჯადამწყვეტ მომენტში და მთელი ნაწარმოების კითხვისას მთლიანობისა და სისავსის უშუალო შეგრძნებას იწვევს.

ეს შინაგანი, ჰუმანური, ადამიანური ხაზი ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა ამ ნაწარმოებისა და ამავე დროს ის არსებითი თვისებაც, რომელიც უფროდ გამოარჩევს, განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს „მცირე მიწის“ შინაარსს.

ომის დედააზრი განჭვრეტილია პოლიტიკური მოღვაწის თვალით, მთელი რიგი ბრძოლიპიზოდებისა მიმოხილულია მეთაურის, წინამძღოლის პოზიციიდან, მაგრამ მთავარი და განსაკუთრებული ამ წიგნში მაინც ის არის, რომ მაღალი სამხედრო წოდება ხელს არ უშლის ამბის მომყოლს გამუდმებით, ყოველ წუთში ხედავდეს ომის ნამდვილ, მჭიდროდ მოახლოებულ სახეს რიგითი ჯარისკაცის თვალითაც.

„მცირე მიწის“ გმირები ქმნიან მონოლითურ მთლიანობას და მასობრივი ჰეროიზმის ატმოსფეროს. და ამავე დროს ყოველი მათგანი ცოცხალი პიროვნებაა — თავისი ბასიათით, თავისი ბედ-იღბლით, თავისი თუნდაც პენტრალურად ან ერთი შტრიხით მინიშნებული. ჰაგრამ მაინც საკუთარი ინდივიდუალური იერით.

ამ ნაწარმოების მეოხებით ჩვენ ერთხელ კიდევ ვარწმუნდებით, რომ ადამიანი, თუ ის მართლა ადამიანია, ადამიანადვე რჩება ომშიც. ოღონდ მისი შეგრძნებები, განცდები, ნებელობა — მთელი მისი ფსიქიკა უაღრესობამდე იკვეთება, ბასრდება და ამ სიმაძაფრეში მოჩანს რალაც მთავარი, აუცილებელი, ეკვმეტანელი.

ომი სასწორზე დებს ადამიანის ზნეობის ფუნდამენტურ კატეგორიათა ნამდვილ ღირებულებას, ყოველი ადამიანის პიროვნების მორალურ თვისებათა სიმყარეს, გამძლეობას, სოციალურუნარიანობას.

ცხოვრებას ჩვეული კალაპოტიდან ამოვარდნილი სრულფასოვანი ადამიანები აქაც განაგრძობენ შეძლებისდაგვარად ცხოვრებას, ადამიანურ ინტერესებს, თავიანთი ადამიანური მოწოდებისა და ვალდებულების აღსრულებას.

„მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, — შენიშნავს ავტორი, — თითქოს პლაცდარმზე ათასობით ადამიანის ცხოვრება მხოლოდ იერიშებით, დაბომბვებით, ხელჩართული შეტაკებებით ამოიწურებოდა. არა, ხანგრძლივი დროის მანძილზე აქ დამკვიდრდა ცხოვრება, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა, რითაც ჩვეულებრივ ცხოვრობს ადამიანი“.

... „და მაინც მცირე მიწა საბჭოთა მიწად რჩებოდა, ადამიანები კი ადამიანებად რჩებოდნენ. ისინი ადგენდნენ გეგმებს, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, დაბადების დღეებსაც კი იხდიდნენ“.

ომში თვალნათლივ და სრულ წყდებოდა ზოგიერთი თავისთავად რთული, მრავალცხოვრებისეული ალტერნატივასთან დაკავშირებული ზნეობრივი საკითხი. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარი ადამიანები პოულობენენ ერთიდერთ სწორ პასუხს, ერთადერთ სწორ გამოსავალს კრიზისული მდგომარეობიდან. „ომში სიბრალულის საკითხი რთული საკითხია, — ეკითხულობთ „მცირე მიწაში“. — ომი სასტიკი რამ არის, და აქ სიკვდილი გარდაუვალია. აქ თუ ვინმე შეგეცოდა, ეს ამას ნიშნავს, რომ მის ნაცვლად სხვა გაგზავნო. აქ ერთი ზნეობრივი გამართლებაა — მხარში ედგე მებრძოლებს გაჭირვებას ეამს, გაიზიარო მათი ხვედრი“.

ომის დიდმა განსაცდელმა განსაკუთრებით ნათელი გახადა, თუ რაოდენ აუცილებელია ადამიანისთვის ჰუმანური გარემოცვა, ადამიანურობის ყველაზე ნაღდი, უტყუარი გამოვლინებები. გაჯარვარებული ლეონოვის ულმობელ სალტეებში მოჰკუდეულმა პიროვნებამ უფრო ღრმად იგრძნო სიკეთის, ღიმილის, გულითადობის, წრფელი მზრუნველობის, თავაზიანობისა და სხვა „მშვიდობიანი“ გრძნობების ფასი.

შემთხვევითი არ არის, რომ „მცირე მიწაში“ სწორედ ომის გამოცდილებას ეკავშირდება ერთი ამ რიგის ზნეობრივი პრინციპის კრისტალიზება: „კაცი კიდეც რომ ცდებოდეს, არავის არა აქვს უფლება დაკიკვლოს და შეურაცხყოს“. „ის, ვინც თავს ნებას ძალეევ გადაუხვიოს ჩვენი წყობილებისათვის ამ ურყევ ვეშმარიტებას, ხამუდამოდ იტეხს ხახელს, ილახავს ავტორიტეტს, და ვინც შეცოდავს, პარტიული, ადმინისტრაციულ და, ბოლოს, ეროიდიული — ყოველგვარი პასუხი უნდა მოეთხოვოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეეფასოთ ადამიანის თავმოყვარეობა, დავამციროთ მისი ღირსება“.

თითქოს უცნაურია თვისთავად, რომ შეუწყნარებლობა ადამიანის უნებური შეცდომების მიმართ ალმოაცენდება სწორედ იმგვარ ვითარებაში, როდესაც ერთ პატარა შეცდომასაც კი შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს. მაგრამ ამაში არის ღრმა აზრი: როგორც ეტყვიან, სიკვდილს წინაშე ყველანი ტოლნი ვართ და ადამიანი, რომელსაც ხშირად გაუსწორებია თვალი სიკვდილისათვის, ადამიანი, რომელმაც გაუძლო მის ძმიმე მზერას, აღარასოდეს დაწვრილმანდება, აღარასოდეს მისკენს თავის თავს სხვისი ღირსების დამცირების უფლებას.

„მცირე მიწა“ ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია იმითაც, რომ აქ საკვირველი გამჭრიახობით აღნუსხულია როგორც დიადი, ისე უმცირესი, ფუფაქზესი, გარეშე თვალისათვის ზოგჯერ უჩინარი გამოვლინებანი ჰუმარიტი ადამიანურობისა. ავტორი თითქოს საგანგებოდ ეძებს ამ ძვირფას მარცვლებს, რათა ომის თანამდევ ეკეცლისა და რკინის შემზარავ ნამუსრევიდან გამოარჩიოს.

ომმა ვერ გატეხა „მცირე მიწის“ მკვიდრთა ნებისყოფა. ამის ეკვეველი დასტური იყო მათი შეუპოვარი მოქმედება. უფრო მეტიც: გამოირკვა, რომ ომმა ვერ ჩაბეშო მათში ყველაზე ჩვენი გრძნობები, ოცნების უნარი, მშვენიერებით ტკბობის წყურველი, რომანტიკული მისწრაფება, სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარული. როდესაც ადამიანი ყველა ამ ნიშნს და მოთხოვნილებას ინარჩუნებს, უფრო ნათელი ხდება, რამხელა მსხვერპლზე მიდის იგი საშობლოსათვის, თავისუფლებისათვის უანგარო თავგანწირვის ჟამს.

ასეთ ნათელ, რომანტიკულ პიროვნებად წარმოდგება „მცირე მიწაში“ მშვენერი უკრაინელი ქალიშვილი მარიამ პადენკო: „მამულის საკეთილდღეოდ მარიამ პადენკო არც თავის უმანწილქალობას, არც სიცოცხლეს არ ზოგავდა. დღიურში, რომელიც მერე გამოქვეყნდა, იგი მცირე მიწის შესახებ წერდა: „ამოძვრები მიწიდან, გადახედავ ქვეყანას და გული ხარობს რა კარგია სიცოცხლე! ირგვლივ ველები გადაუხნავს ომის სასტიკ მანქანას. ყველგან ხახლების ნანგრევები და გაყვითლებული ხისხლის ლაქებია გადაბეგული, ნაფლეთებად ქცეული მიწაზე ვერ მოასწრეს მზით დაკბობას, რომ უკვე გესმის „თვითმფრინავი!“ და ისევ ჩაძვრები შენს დარაზში, სადაც ნესტი ბეცემა სახეში, სადაც პილნის ჭრაქების ჭვარტლში ძლივს ცნობ შენ მეგობრებს“.

„მცირე მიწის“ მოქმედ პირებს ერთგვარი სიტყვაძვირობა ახასიათებთ. ისინი „გმირობანას“ არ თამაშობენ და არც წამებულთა შარავანდედზე აცხადებენ პრეტენზიას. მათს მოქმედებაში იოტისოდენადაც არ ეკრძნობა მელოდრამატიზმის ნიშნები. როგორც ერთი სქემასათვის, ერთი იდეისთვის მებრძოლთ, მათ აკავშირებს ღრმა ურთიერთგრძნობის, ასგზის ნაცადი ერთგულებისა და უთქმელი სიყვარულის გრძნობა. თითქმის ყველა მათგანი ამ დიდი გრძნობის „გამოხატვისას განსაკუთრებული თავდაჭერილობით გამოირჩევა.

თვით ეს ნაწარმოები დაწერილია სანიმუშო ადამიანური ტაქტით. არავითარი გაზვიადება, არავითარი პათეტიკა და გარეგნული ეფექტები!

არსებობს გრძნობები, რომელთა ექსპლუატაციის უფლება ლიტერატურას (სულერთია მხატვრული იქნება ეს უკანასკნელი თუ დოკუმენტური) უბრალოდ არა აქვს. არსებობს ტკივილები, რომელთა სრული გაშიშვლება არღვევს შინაგანი კეთილშობილების დაუწერელ კანონებს.

ᲛᲙᲘთხველის ყურადღებას უთუოდ მიიქცევს, კერძოდ, ერთი დამახასიათებელი თავისებურება ამ ნაწარმოების კომპოზიციური აღნაგობისა. დიადი და მცირე ტრაგიკული და ღიმილის მომგვრელი, შემძაფრებელი და შვების მომნიჭებელი პასაჟები აქ ერთმანეთს უბრალოდ კი არ ენაცვლება, ისინი სხვადასხვა მხრიდან ავსებს წარმოსახულ სურათებს და მთლიან ემოციურ გამას ქმნის, რომ მკითხველის აღქმა არ გადაატვირთოს ერთი რიგის შთაბეჭდილებებით, რომ ყველაზე შემზარავი სანახაობის ზემოქმედებამაც კი გამოუსავლობის, სასოწარკვეთის გრძნობით არ დაორგუნოს მისი შეგნება.

აი ერთი ასეთი ადგილი: „ქალაქის მოსახლეობის მიტინგი არ მოგვიწყვია: მოსახლეობა არ იყო. მერე ქუჩებში ჩავიარეთ, არც ქუჩები იყო. მხოლოდ ნანგრევები ჩანდა. მთელი ქალაქი ნაცარტუტად ქცეულიყო. რომელიღაც სარდაფში ერთი მობუცი დედაკაცი ვიპოვეთ კატასთან ერთად, ეს იყო და ეს. მახსოვს, იქ იყო კიდევ ელექტორი, იქვე მეზღვაურთა კლუბი. წინადღეს ფაშისტებმა ჩვენები ხელთ იგდეს, ამ ადგილას მორეკეს, ნავთი გადაასხეს და დაწვეს. შემზარავი ამბავია.

მესანგრეები მუშაობდნენ. ათასობით ნაღმს, ფუგასს, აუფეთქებელ ბომბსა და ტორეს პოულობდნენ და ქალაქგარეთ გაქონდათ. გლეჯდნენ წარწერებს: „ყოველი მცხოვრები, რომელიც ქალაქში აღმოჩნდება, ადგილზე დაიხვრიტება“. ფაშისტებს ეშინოდათ ჩვენი ადამიანებისა... მეზღვაურთა კლუბის წინ კარტოფილი ეთესა. აქ წინ გავედი. კოლონინი მეუბნება:

— სად მიძვრები?

— შენ სამხედრო საბჭოს წევრი ხარ, — ვუპასუხე, — მე კი პოლიტგანყოფილების უფროსი. მე ორი ნაბიჯით წინ უნდა ვიარო“.

მეოცე საუკუნის ლიტერატურამ თითქოს სამუდამოდ აპყარა პატივი ომის რომანტიკულ გაგებას. დავიწყებას ჩაბარდა თვალწარმტაცი ბატალური სცენები, მოასპარეზეთა ვრაციოზული მიხრა-მოხრა, საქადაკო ეტიუდებივით გონებამახვილურად მოფიქრებული სამხედრო მანევრების აღწერა...

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ყოველივე ამის ნაცვლად წინა პლანზე წამოიწია ომის ყოველდღიურმა პროზამ. დასავლეთის მწერლობამ ომში დაინახა უაზრო სასაკლაო — „სიბინძურე, ოფლი და სისხლი“. ასე წარმოისახა ომი, კერძოდ, ჰემინგუეისა და რემარკის გახმაურებულ რომანებში: „მშვიდობით, იარაღო!“ და „დასავლეთის ფრონტზე ცვლილებები არ მომხდარა“.

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა ადამიანების ცნობიერებაში შეიდგა როგორც „დიდი სამამული“. მისი ბრძოლა ეველმეზე მარტოოდენ უგუნურობისა და ულმობლობის ავისმეტყველი ანრდილები არ თარეშობდნენ, ვინაიდან ეს იყო მსოფლმხედველობათა სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების ასპარეზიც. ომისგამოწვეულ ბნელ ძალებს დაუპირისპირდა და წინააღუდგა სიმართლისა და სამართლიანობისათვის აღებული იარაღი, ეპოქის მოწინავე იდეოლოგია და პროგრესის ძალები.

მთავარი გამარჯვება ამ ომში ადამიანურობის ჰუმანურ კონცეფციას ხვდა წილად. ჩვენთვის, საბჭოთა მოქალაქეებისათვის კი ეს იყო სოციალისტური ჰუმანიზმის ფლიადესი, ეპოქალური მნიშვნელობის გამარჯვება ახალი დროის ყველაზე ბარბაროსულ, ყველაზე ანტიკუმანურ მოძღვრებაზე.

გამარჯვება მხოლოდ ამ ზოგადი მნიშვნელობით არ განხორციელებულა: ომის ყოველ კონკრეტულ ეპიზოდში მიმდინარეობდა დაძაბული ჰიდელი ადამიანთა სულებში და ყოველ ცხოვრებაში ისმებოდა მთავარი კითხვა: რა იმძლავრებდა, რა აღზევდებოდა ადამიანში — ძრწოლვა თუ სიმხნეკე, ცხოველი თუ მოაზროვნე არსება, ქვეშა ინტერესები თუ სინათლისა და სიკეთის ნაპერწკალი?

„მცირე მიწა“ თავისი ჰუმანური შინაარსით ამ პრინციპულად მნიშვნელოვან ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც შთამომავლობას აუწყებენ „ეკანასკნელი ომის უმთავრეს შედეგს: „როგორ გაუძლო ადამიანმა „ეცეცხლის, სისხლისა და ოფლის“ მორევს, როგორ შეინარჩუნა მან თავისი ბუნებისა და ზნეობის თავადი საყრდენები, რაოდენ ზნეამაღლებული, სულიერად მთელი და აღორძინებული „გამოვიდა იგი ამ უმძიმესი განსაცდელიდან, როგორ გადაარჩინა მან თავისი „მცირე მიწა“, თავისი თავი, თავისი ადამიანური ღირსება, რათა მშვიდობიანი ცხოვრების დიდ სამყაროს დაბრუნებოდა.

მეორე მსოფლიო ომმა, მთელი თავისი რთული და წინააღმდეგობრივი შინაარსით, სამუდამო განაჩენი გამოუტანა ომს, როგორც ადამიანისათვის ყველაზე ეოორს საქმიანობას.

ასეთი დასკვნა გამოიტანეს ომიდან ეწინარეს ყოველისა მისმა მონაწილეებმა, ხოლო ამ დასკვნათა, ამ ეპქმეტანელ მოწმობათა შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმით ეორყეკ რწმენას, ვინც თავიდან ბოლომდე გაიარა დიდი სამამულო ომის გზები:

„უკანასკნელ დღემდე ვმარხავდით ერთგულ ამხანაგებს, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი. — მთელ გზაზე ვხედავდით ფაშისტური მხეცობის კვალს, ვხვდებოდით თვალცრემლიან დედებს, უნუგეშო ქვრივებს, მშიერმწყურვალ ობლებს და დღეს რომ მკითხოს ვინმემ, რა მთავარი დასკვნა გამოვიტანე მე, რომელმაც ომი პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე გამოვიარე, ვუპასუხებდი: იგი აღარ უნდა განმეორდეს, ომი არასოდეს აღარ უნდა მოხდეს“.

ასეთია იმ დიდი გაკვეთილის დედაზრი, რომელიც ისტორიამ „მცირე მიწის“ ამბავიდან ლეგენდარული დამცველების ჩარტარა. ისინი ადამიანები იყვნენ და ადამიანებად დარჩნენ. სისხლს არ დაუბინდავს მათი გონება, სისასტიკე ვერ მოერია კეთილ ნებას, ძალმომრეობა სუსტი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მათში სიკეთის რწმენა ჩაეკლა:

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ დიდ სიკეთეს, რომლისთვისაც დღეს შეგნებული კაცობრიობა იბრძვის, სახელად მშვიდობა ჰქვია. ეს არის დიადი ბრძოლა, უმძიმესი, ურთულესი — თავისი ყოველდღიური შინაარსით, უმნიშვნელოვანესი — თავისი საშვილიშვილო შედეგებით, კაცობრიობის გონიერებისა და დიდსულოვნების კიდევ ერთი უმკაცრესი და უძნელესი გამოცდა.

ეს ბრძოლაც ადამიანებმა უნდა მოიგონ!

გურამ ასათიანი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲡᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა ჩვენს კოლექტივში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის დღეებად იქცა. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, ბრიგადებს შორის გამარჯვებულს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სახელი მიენიჭა. ამ წოდებას სიამაყით ატარებს ბრიგადა, რომელსაც ელზა თოდუა უდგას სათავეში.

შარშან ჩვენმა მეფრინველეებმა მართლაც დიდი შრომითი წარმატებებით აღნიშნეს ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავი და საბჭოეთის ძირითადი კანონის მიღება. გეგმით უნდა გეგეწარმოებინა 20 მილიონი კვერცხი, 560 ტონა ფრინველის ხორცი, თითოეულ მოქცეულზე მიგვეღო 185 კვერცხი, ფაქტიურად ეს დავალება საგრძნობი გადაჭარბებით გავანაღდეთ. ვაწარმოეთ 23 მილიონზე მეტი კვერცხი, ხოლო სახელმწიფოს ჩავაბარეთ 22 მილიონზე მეტი კვერცხი და 775 ტონა ფრინველის ხორცი, მოქცეულზე კი მივიღეთ 202,8 ცალი კვერცხი. ეს წარმატება ოქმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა — ფაბრიკის კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა და მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დიპლომი იქნა შეტანილი.

და აი ახლა, როცა საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონის განხილვა დაიწყო, კვლავ ახლებურად აზრითდა შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ტალღა, კვლავ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. დაძაბული დავალებების მიუხედავად, ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა ზეგეგმით სახელმწიფოს მიყიდოს 1.000 ცენტნერი ფრინველისა და 40 ტონა ღორის ხორცი, 1,5 მილიონი კვერცხი, თვითეულ მოქცეულზე კვერცხმდებლობა 15 ცალით გაზარდოს.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის დიდი უმრავლესობა ქალები არიან, ამიტომ ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით ვეცნობით საქართველოს კონსტიტუციის იმ ნაწილს, სადაც ქალთა უფლებებსა და თავისუფლებებზეა ლაპარაკი.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ“. — ნათქვამია კონსტიტუციის პროექტის 33-ე მუხლში. აქვეა მითითებული, თუ რით არის უზრუნველყოფილი ქალებისათვის მამაკაცთან თანაბარ შესაძლებლობათა მინიჭება, ეს არის განათლების და პროფესიული მომზადების მიღება, შრომა და მისი ანაზღაურება, სამსახურებრივი დაწინაურება, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული საქმიანობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ზრუნვა, რომელსაც იჩენს სახელმწიფო ქალთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, აგრეთვე დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვის დარგში და სხვა.

ამ უფლებების კეთილნაყოფიერ გავლენას საკუთარ თავზე გრძნობენ ჩვენი მეფრინველეები. თაბრიკასთან საკუთარი დასახლებაა. აქ ცხოვრობს მომუშავეთა ძირითადი ნაწილი. გვაქვს საბავშვო ბაგა-ბაღი, რვაწლიანი სკოლა, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კლუბი. მაგრამ ყოველივე ეს არ მიგვაჩნია საკმარისად და დაბის გამშვენიერებისა და შემდგომი კეთილმოწყობისათვის უკვე შედგენილია ახალი პროექტები. მალე ჩვენი დასახლება უფრო ლამაზი და მოხერხებული გახდება. კიდევ უფრო ჯაუმჯობესდება მეფრინველეთა ყოფაცხოვრება, კიდევ უფრო ამაღლდება მათი კულტურული მოსახურების დონე.

ჩვენი კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს და მხუთვალედ უჭერს მხარს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციას. პირადად მე მაქვს შენიშვნა: კონსტიტუციის მე-6 თავში, რომელშიც მოქალაქეთა ძირითადი უფლებები, თავისუფლებანი და მოვალეობებია მოცემული, კერძოდ, 38-ე მუხლში იქ, სადაც შრომის უფლებებზეა ლაპარაკი, აღნიშნულია, რომ „ამ უფლებებს უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საწარმოო ძალების განვითარებული ზრდა, უფასო პროფესიული სწავლება“ და ა. შ. აქ სიტყვა „უფასო“ ზედმეტია და, ვფიქრობთ, იგი უნდა ამოვიღოთ, რადგანაც ამავე თავის 43-ე მუხლში, რომელიც განათლების უფლებებისადმია მიძღვნილი, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „ამ უფლებებს უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება“. და ეს ხაზგასმით არის ნათქვამი, ამიტომ ერთ ადგილას — 43-ე მუხლში „ყველა სახეობის უფასო განათლების“ მოხსენიება საკმარისია.

მერი მდივანი,

ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი შემოშავებული საბჭოთა კავშირის ძირითადი კანონის შესაბამისად. ჩვენ ყველანი მოწმენი და მონაწილენი ვართ ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის საყოველთაო-სახალხო განხილვისა. ეს გასაგებიც არის, რადგან მისი განხილვა და მომავალი მიღება, კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია სოციალისტური დემოკრატიისა, დიდი მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ხალხისა, რომელიც საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად კომუნისტურ მშენებლობაში მონაწილეობენ. აქ მე ხაზგასმით აღვნიშნე, რომ იგი ნიშნავს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების ახალ გამარჯვებას, ცხადყოფს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიად ძალას. და სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ საქართველოს სსრ ცხოვრების ძირითადი კანონის პროექტი. იმიტომ, რომ სწორედ ეს ბრძნული პოლიტიკა იყო და არის ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ძლიერების მუდმივი ზრდისა და აყვავების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

სიახლე ახალი კონსტიტუციის პროექტში უკვე მოგვაქვს. მაგალითად, ეს არის ახალი VIII კარი „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი“, მასში შემავალი 19 და 20 თავები, თავის 11 მუხლით, 152-დან 162-ე მუხლის ჩათვლით.

შევეხებიდნი ზოგიერთ მათგანზე.

როგორც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ძირითად კანონშია ჩაწერილი, სსრ კავშირის ეკონომიკა წარმოადგენს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს; აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის 152-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა (რომელზედაც ჩვენ წინათ მხოლოდ ვოცნებობდით) სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთიანი სახელმწიფო გეგმის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, რომელიც უნდა შემუშავდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანებისა და მიმართულებების შესაბამისად. იგი მიზნად ისახავს რესპუბლიკის კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფას.

შემდგომ მუხლებში (153-დან 157-ე მუხლის ჩათვლით) ახსნილია საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური გეგმის არსის მიზანი, ამოცანა, შემადგენელი ნაწილები, მისი შემუშავების, განხილვის და დამტკიცების წესი, მისი შესრულების ორგანიზაცია. ყველა ეს საკითხები გასაგებად, სწორად არის ახსნილი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი დეტალიზაცია არ არის საჭირო, და მისი გადმოცემა უფრო კომპლექსურად შეიძლებოდა.

ამავე დროს აქ არაფერია ნათქვამი საგეგმო დისციპლინის საკითხებზე. აქვე შეიძლებოდა აგვესახა ტერიტორიული და დარგობრივი დაგეგმვის შეთანაწყობის საკითხი, რომელიც ცალკე კარის სხვა მუხლშია ნაჩვენები. ამის მიზახშეწონილობაზე მიუთითებს თვით მეოთხე კარის 152-ე მუხლის მოთხოვნაც, სადაც ჩაწერილია, რომ „იგი ისახავს რესპუბლიკის კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარების უზრუნველყოფას“.

153-ე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა შეიცავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სახალხო მეურნეობის დარგებისა და ეკონომიკური რაიონების კომპლექსურ პროგრამებს, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიული დაგეგმვის სათანადო მასშტაბებს, მაგრამ რატომ უნდა მოიცვას მხოლოდ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები და არა საერთოდ ტერიტორიაზე განლაგებული ქალაქები?

საერთაშორისო ცხოვრება

ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ — ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ — ᲔᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ

● საკდესი — იტყობინება

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲒᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

ᲑᲐᲗᲣᲠᲘ („კომუნისტის“ კორ.) რეკინგზელთა კულტურის სახლის დარბაზში ადგილებს იკავებენ რაიონის სახალხო მეურნეობის მოწინავენი, რომლებიც აქ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მოვიდნენ.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ᲑᲐᲗᲣᲠᲘᲡ რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ბუდუკაძემ. მან ილაპარაკა იმ, ამოცანების განხორციელების გზებზე, რომლებიც სკკპ XXV კონგრესმა, საქართველოს კომპარტიის XXV კონფერენციამ და შემდგომმა პლენუმებმა დასახეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგემ ო. ივანაშვილმა რაიონის მშრომელებს მიულოცა მაღალი ჯილდო და რაიონის ხელმძღვანელებს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც რაიონმა საუბილეო — 1977 წელს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მოიპოვა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა ᲑᲐᲗᲣᲠᲘᲡ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ხაჯაველიძემ.

აქტივის კრებაზე დიდი სკამბისი გაიმართა პარტიული და შრომის დისციპლინის, ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაძლიერების საკითხებზე. კრების მონაწილეებმა მოითხოვეს კიდევ გაძლიერდეს ბრძოლა ნეგატიური მოვლენებისა და სხვა დანაშაულობათა აღმოფხვრისათვის. გააანალიზეს აგრეთვე უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები და პრობლემები, რომლებიც ახალ შრომითს წარმატებებს უზრუნველყოფენ.

აქტივის კრებაზე 1977 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადაეცათ ორდენები, მედლები და სიგელები.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ᲥᲝᲗᲝᲛᲘᲠᲘᲡ ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკისა და ახალციხის რაიონების მშრომელთა დელეგაციები, რომლებთანაც ᲑᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ მეგობრობენ და ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რ. ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ — ᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ოფსეტური ბეჭდვის ქარხანაში სასიხარულო ცნობა მოვიდა: გასული წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით კოლექტივმა გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის პოლიგრაფიულ საწარმოებს შორის და პირველი ადგილი დაიკავა. ფაბრიკა დაჯილდოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოქცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის. მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და ფულადი პრემიით.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადწყვეტილება ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის საქართველოს კომკავშირის 1976-1977 წლების პრემის მინიჭების შესახებ. პრემია მიენიჭათ:

1. **ᲖᲘᲖᲘᲜᲐᲫᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ** — სობავშვო ლიტერატურის ნაწარმოებთა შექმნისათვის.

ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐᲨᲘᲡ ᲓᲘᲚᲐᲠ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲫᲔ — ლექსთა ციკლებისათვის „ყინული ლღვება“, „სადაც ზღვაა და ლურჯი მთებია“, „ᲛᲖᲔᲝᲠ მაცოცხლებელო“, „მბირული ორატორია“, „ჩემი ცხოვრების ხუთი ფურცელი“.

2. **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲜᲙᲝᲜᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲒᲐᲠᲣᲚ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲡ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲕᲐᲚᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** — დადგმებისათვის „გაათავისუფლეთ სიმღერა“, „ზინა პორტნოვა“, „წერილები“.

3. **ᲗᲝᲠᲐᲫᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲗᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ** — საფორტეპიანო ხელოვნებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

4. **ᲨᲕᲐᲪᲐᲕᲐᲐᲨᲘᲡ ᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ** — პოეტი-მეომრის, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის მირზა გელოვანის ძეგლისათვის.

5. **ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲢᲝᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲗᲐᲜᲘᲡ** ნაყოფიერი საქმიანობისა და აქტიური საშეფო მუშაობისათვის ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში. (საქინფორმი).

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

„ᲘᲠᲘᲡᲗᲝᲜᲛᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ირისთონმა“ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა გამოუშვა. მკითხველმა ინტერესითა და კმაყოფილებით მიიღო შოთა რუსთაველის „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ოსურ ენაზე. პოემის მაღალმხატვრული თარგმანი შეასრულა ცნობილმა ოსმა პოეტმა გიორგი ბესთაუთმ, რისთვისაც მას ᲘᲕ. მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა.

ამ დღეებში „ირისთონმა“ ქართულ ენაზე გამოსცა ოსი ხალხის სულიერი საგანძურის საუკეთესო ნიმუში — ᲐᲛᲘᲠᲘᲡᲛᲘᲡ ეპოსი „ნართები“ (ᲪᲠᲝᲜᲐᲖᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ), რომელიც ოსურად გამოცემული აკადემიური ტექსტიდან მერი ცხოვრებოვამ თარგმნა.

გამომცემლობამ რუს მკითხველებს მიაწოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ბ. პლიევასა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის რ. ᲯᲐᲑᲐᲡᲘᲡᲘᲡ ნაშრომები: „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1917-1921 წწ.“ და „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ“.

სერიიდან „ოსური მხატვრული სტყვის საგანძური“ ოსურ ენაზე გამოვიდა „სიმღერები, თქმულებები, ანდაზები“. საყურადღებოა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. გაგლოიითის წიგნიც „ნართების ეპოსის ისტორიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი“.

გ. ᲗᲝᲓᲝᲔᲕᲘ,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ — ᲧᲣᲗᲧᲚᲔᲓᲘ!

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲰ“ გამოსცა დ. კაკაბაძის ზალი ბროშურა „ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲗ ᲧᲣᲗᲧᲚᲔᲓᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠ?“.

მკითხველი წიგნში გაეცნობა ყველა ჩვენი წარმატების წანამძღვრის, იდეური მრწამსის აღზრდის ფაქტორებს, სასარგებლო რჩევა-დარიგებას მიიღებს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენოს იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა ფორმა და საშუალება ადამიანთა კომუნისტური აღზრდის, პროფესიული დაოსტატებისა და წარმოების განვითარების აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად.

წიგნში მეთოდიკურად დამუშავებული მასალები დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს. ტირაჟი 2.000 ცალია.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ № 3

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მომდინარე წლის მორიგი, მესამე ნომერი.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლექციური პროპაგანდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ჟურნალი აქვეყნებს დადგენილების შინაარსს სათაურით — „სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ“.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის შესახებ და საქართველოს საბჭოთა **ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ (ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ**, რომელიც გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. „ᲛᲨᲠᲝᲛᲘᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ, განცხადებებსა და სარჩევრებს — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲜᲩᲘ ᲛᲘᲦᲘᲡᲐᲛᲔ“ — ასეა დასათაურებული ნომრის მოწინავე სტატია.

რუბრიკით — „ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲗᲔᲝᲠᲘᲐ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ“ გამოქვეყნებულია წერილები: საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივნის Ა. ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲘᲡᲐ — „წინსვლის ნაბიჯები“ და დ. კაკაბაძისა — „კომუნისტური აღზრდის, ეკონომიკის განმტკიცების მძლავრი ფაქტორი“, ხოლო რუბრიკა „ᲛᲔᲝᲗᲔ ᲧᲣᲗᲧᲚᲔᲓᲘ: ᲪᲮᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ“ — წამძღვარებული აქვს საუბარს გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის დირექტორთან გ. ᲨᲐᲠᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ „ეფექტიანობა, ხარისხი, მომჭირნეობა“.

ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია სტატიები: ფ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ — „დედამიწას ჰეფნდა ლენინური ნათელი“, ვ. ᲭᲐᲠᲣᲨᲘᲫᲘᲡᲐ — „საბჭოთა ქალი — საზოგადოების აქტიური ძალა“, ბ. ᲓᲐᲚᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ — „პარტია განვითარებული სოციალიზმის პირობებში“.

ᲨᲔᲛᲔᲥᲐᲛᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ — ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲒᲣᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ საბალეტო პიესის, აფხაზური მხატვრული ლიტერატურისა და აფხაზური ლიტერატურული ენის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას სახელი მიენიჭა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ბიკვინთის შემოქმედების სახლს. (საქინფორმი).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲘᲚᲐᲨᲭᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡ ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲝᲛᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲮᲕᲔᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲛᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲜᲔᲘᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲝᲛᲑᲘ — ᲙᲐᲜᲝᲜᲒᲐᲠᲔᲨᲔ!

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ხალხები გადაჭრით ილაშქრებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნეიტრონული იარაღის წარმოებისა და დახვლეთ ევროპაში მისი განლაგების გეგმების წინააღმდეგ. ამ მძლავრ საპროტესტო კამპანიაში ᲔᲑᲛᲔᲑᲐ პლანეტის სულ უფრო მეტი ხალხ მოაზროვნე ადამიანი, რამდენადაც ყველასათვის ნათელი ხდება, რომ საქმე ეხება არა მარტო მასობრივი მოსპობის ახალი იარაღის დანერგვას ნატოს სახელმწიფოთა არსენალებში, არამედ აგრეთვე უფრო დიდმნიშვნელოვანსა და სეროზულს — მშვიდობის, ᲑᲔᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲡᲐ და მთელ მსოფლიოში. სწორედ ამიტომ სულ უფრო ხმამაღლა გაისმის იმათი ხმები, ვინც მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ შეთანხმდნენ ნეიტრონული ბომბის წარმოებაზე ურთიერთ უარის თქმის შესახებ, კანონგარეშე გამოაცხადონ იგი.

ᲒᲤᲠ

ᲑᲝᲜᲜᲘ. ბუნდესტაგის დეპუტატმა ა. პაველჩიკმა (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებას ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე ურთიერთუარის თქმის შესახებ.

გამოვიდა რა დასავლეთ გერმანიის რადიოთი, მან გაიალაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ „ჯერ დაიწყონ ნეიტრონული ბომბის წარმოება, ხოლო შემდეგ აწარმოონ მოლაპარაკება“ ამ საკითხზე.

მშვიდობის, თანამშრომლობისა და განიარაღების კომიტეტმა მიუწოდა „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელ პოლიტიკურ მოღვაწეებს თანამშრომლურად და ჯადაჭრით გამოვიდნენ ნეიტრონული იარაღის წინააღმდეგ“. ამ იარაღის წარმოება და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი განლაგება აუცილებლად ზიანს მიაყენებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესს, გამოიწვევს გამალებული შეიარაღების ახალ რაუნდს, ნათქვამია განცხადებაში.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისში უკვე დაახლოებით ერთი თვეა გრძელდება ხელმოწერათა შეგროვების კამპანია პეტიციაზე „ნეიტრონული ბომბის აკრძალვის“ შესახებ. მოწოდების მხარდასაჭერად, განაცხადა ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის ეროვნული საბჭოს წევრმა სტივენ უოატჰედმა, ხელმოწერილ დოკუმენტს ჩვენ გადავცემთ პრემიერ-მინისტრს ჯ. კალაგჰენს მაისის დამლევს იმის წინ, როცა იგი გაემგზავრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურ სესიაზე. ჩვენ იმედი გვაქვს, აღნიშნა მან, რომ ამ ადამიანთა აზრი, რომლებიც ხელს მოაწერენ პეტიციას, შესაბამის გავლენას მოახდენს მთავრობის პოზიციაზე ინგლისში ნეიტრონული ბომბის განლაგების საკითხის გადაჭრის დროს.

ᲨᲕᲔᲪᲘᲐ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ. მუშათა პარტიის — შვეციის კომუნისტების გამგეობა ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები დაიწყოს ნეიტრონული ბომბის სერიული წარმოება და განალაგოს ეს ბარბაროსული დარაღი დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე კმაყოფილებას გამოიწვევდა გამალებული შეიარაღების გაძლიერებას და გაადიდებდა ატომური ომის გაჩაღების საშიშროებას.

შვეციის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთ-ერთმა უდიდესმა გეტებორგის ორგანიზაციამ თავის კამოსლაში დგომო ნეიტრონული ბომბი და დანება გამოთქვა იმის გამო, რომ „შვეციის მთავრობამ არ გამოიყენა შესაძლებლობა გადაჭრით დაეგმო ნეიტრონული ბომბი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომიტეტის სხდომებზე, რომლებიც ახლა ქვენეკაში მიმდინარეობს“.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲚᲘᲒᲐᲜᲘ

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. 28 მარტი (საკდესი). ამ ბოლო დღეებში სამხრეთ ლიბანში ვითარების შემდგომი გამწვავების ტენდენცია დაისახა. ისრაელი, რომელიც არ ემორჩილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას ლიბანის ოკუპირებული ტერიტორიიდან ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, ახალ დიდ შეიარაღებულ პროვოკაციას ამზადებს ამ რაიონში. ისრაელის სარდლობას კვლავ გადაკაყავს სამხრეთ ლიბანში ჯარის ახალი კონტინგენტები და გადაიჭრა იარაღი. თვითმხილველნი იუწყებიან, რომ აქ თავს უყრიან ისრაელის სატანკო და მექანიზებულ ქვეგანაყოფებს. ფიქრობენ, რომ ისრაელის მხედრიონი ემზადება სექტორში მდინარე ლიტანის გადალახვისათვის.

ისრაელის არტილერია გამუდმებით უშენს მასირებულ ცეცხლს პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისა და ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების რაზმების პოზიციებს ᲰᲐᲡᲐᲜᲘᲡ, ᲐᲑᲣ-ᲙᲐᲫᲰᲐ ᲙᲣᲙᲐᲕᲘᲡ დასახლებული პუნქტების რაიონებში. გუშინ საღამოს ისრაელის მექანიზებულმა ქვეგანაყოფმა სცადა დაეკავებინა ᲰᲐᲡᲐᲜᲘᲡ ხიდი მდინარე ლიტანზე. ეს ცდა ჩაიფუშა ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის შეიარაღებულმა ქვეგანაყოფებმა. ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ მსვლელობაში მეწყობრედან გამოიყვანეს ისრაელის ტანკი და რამდენიმე ჯავშნიანი მანქანა.

ისრაელი ყოველნაირ დახმარებას უწევს ლიბანის კონსერვატიულ ძალებს, უხვად ამარაგებს მათ იარაღით და სამხედრო ტექნიკით. ეყრდნობა რა ამ მხარდაჭერას, კონსერვატიული ძალების შეიარაღებული რაზმების სარდალმა სამხრეთ ლიბანში ᲰᲐᲓᲐᲓᲛᲐ განაცხადა, რომ ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ლიბანის არმიას“ (რომლის შექმნა ეწინააღმდეგობა ლიბანის კანონებს — რედ). განზრახული აქვს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს რაიონები, რომლებიც ახლა ოკუპირებულია ისრაელის ჯარების მიერ. ამ არმიის მთავარი ამოცანაა, ხაზი გაუსვა მან, არ დაუშვას პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისა და ეროვნულ-პატრიოტული ძალების პოზიციების აღდგენა სამხრეთ ლიბანში, მეთვალყურეებს ᲰᲐᲓᲐᲓᲘᲡ მიერ გამოაშკარავებული გეგმა მიაჩნიათ ამ საერთო შეთქმულების შემადგენელ ნაწილად, რომლის მიზანია სამხრეთ ლიბანის რაიონებში ისრაელთან მჭიდროდ დაკავშირებული სეპარატული სახელმწიფო ერთეულის შექმნა.

ქვეყნის პოლიტიკური წრეების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ისრაელის თავდაცვის მინისტრის გეიერმანის გუშინდელი განცხადება, რომელშიც იგი აშკარად იმუქრებოდა, ლიბანის წინააღმდეგ ესკალაციას გავაძლიერებო.

ამავე დროს ლიბანის მთავრობა, ეროვნულ-პატრიოტული ძალები და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა აცხადებენ, რომ მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ვითარების ნორმალიზაციისათვის. ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘᲡ გაზეთები იუწყებიან, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა ლიბანის პრემიერ-მინისტრთან ს. ᲰᲝᲡᲗᲐᲜ გუშინდელ შეხვედრაზე დაადასტურა, რომ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა ამზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების მისიის განხორციელებას სამხრეთ ლიბანის რაიონებში და შეასრულოს მათი სარდლობის ყველა მოთხოვნა.

ლიბანის პროგრესული სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამაც განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების წარმატებულ საქმიანობას. ამასთან მან დაგმო კონსერვატიული „ლიბანის ფრონტის“ ცდები, რათა ისრაელს აგრესია გამოიყენოს საბაბად იმისათვის, რომ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას წაართვას უფლებები, რომლებითაც იგი ლიბანში სარგებლობს ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ კანონიერ ხელისუფლებასთან შეთანხმებით.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 მარტი (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი, შეეხო რა სამხრეთ ლიბანის მდგომარეობას, რომელიც ოკუპირებულია ისრაელის ამასწინანდელი ագრესიის შედეგად, განაცხადა, რომ ამ რაიონში აღინიშნება მთელი რიგი ინციდენტები, რომლებიც „სერიოზულ შეშფოთებას“ იწვევს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ცნობებით, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უშიშროების საბჭოს მოთხოვნის მიუხედავად ისრაელის არტილერიამ ოთხასსელი დღეღამის განმავლობაში ოკუპირებულ ქალაქ მარჯაიუნიდან არაერთხელ ატეხა სროლა და ცეხლი დაუშინა, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალების შეეცის კონტინგენტის ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲦᲘᲡᲐᲛᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ, ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ — ᲫᲕᲔᲚᲘ

ᲠᲐᲡ ᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ „ᲡᲐᲡᲐᲖᲘᲝ ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲐᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ კორეაში დამთავრდა ამერიკისა და სეულის ჯარების გაერთიანებული 11 დღიანი მანევრები, რომლის კოდური სახელწოდება იყო „ტიმ სპირიტ-78“. ეს მანევრები, როგორც აღნიშნავენ, იმის შემდეგ კორეის ნახევარკუნძულზე ძალის უდიდესი დემონსტრაცია იყო. მანევრებში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სეულის რეჟიმის შეიარაღებული ძალების 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, გამოყენებული იყო უახლესი ნიმუშების სამხედრო ტექნიკა, ატომური დარტყმისათვის გათვალისწინებული სხვადასხვა შეიარაღება. განსაკუთრებით ეს ფართო მასშტაბის ოპერაცია, იაპონიის გაფრთხილებით გაზეთმა „მაინიჩიმ“ აღნიშნა, რომ იგი უგულებელყოფს მტკიცებებს „აზიიდან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წასვლის შესახებ“. ეს მტკიცებები ᲫᲐᲠᲑᲐᲓ ᲐᲑᲔᲭᲓᲘᲓᲝᲜᲐ ამერიკის პრესაში ხელისუფლების სათავეში ახლანდელი ადმინისტრაციის ᲩᲐᲓᲒᲛᲘᲡ შემდეგ.

შეუძლებელია გაზეთის ამ აზრს არ დავეთანხმოთ. უფრო მეტიც, შეერთებული შტატები არათუ არ აპირებს აზიიდან წასვლას, არამედ, პირიქით, განზრახული აქვს „განამტკიცოს“ თავისი სამხედრო ყოფნა იქ წინანდელი იმპერიალისტური პოლიტიკის განგრძობის მიზნით. პენტაგონის შეფმა გ. ᲑᲠᲐᲣᲜᲛᲐ, რომელიც თებერვლის დამლევს ლოს ანჯელოსში გამოვიდა, ჩამოაყალიბა აზიისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მორიგი სამხედრო „დოქტრინა“. „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲦᲜᲔᲗ მთავარი ძალა წყნარ ოკეანეში, — თქვა მან. — სხვანაირად შეუძლებელია. არ შეგვიძლია ძლიერი ვიყოთ ევროპაში და სუსტი აზიაში. აზიაში ხომ ჩვენი ძლიერება ხელს შეუწყობს ევროპაში ჩვენს ძლიერებას და პირიქით. ეს ერთი საქმის ორი მხარეა“.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი „საზღვო დოქტრინა“, რომელიც თავდაცვის მინისტრმა და ამერიკის მთავრობის ზოგიერთმა სხვა მოღვაწემ ჩამოაყალიბეს, მთელი რიგი ელემენტებისაგან შედგება. აქედან უმნიშვნელოვანესია სტრატეგიული სარაკეტო-ატომური იარაღების გადიდება და იარაღის ახალი სისტემების გაშლა (სწორედ ამ ელემენტს დაეთმო განსაკუთრებული უურადღება სამხრეთ კორეაში მოწყობილ უკანასკნელ მანევრებზე); იაპონიის უფრო აქტიური მონაწილეობა შორეულ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ღონისძიებებში; თავის მოკავშირეებზე დაყრდნობა ხელშეკრულებებისა და ბლოკების მიხედვით, აგრეთვე „დიდი რეგიონული თუ საერთაშორისო მნიშვნელობის“ ახალ სახელმწიფოებთან „უფრო ახლო ურთიერთობის“ განვითარება (საქმე ეხება, პირველ რიგში, თავისი მიზნებისათვის პეკინის ანტისაბჭოურობის გამოყენების ცდებს). „ᲩᲕᲔᲜ სამხედრო ყოფნა და ჩვენი ძალების დაგეგმილი განსტაციება, განაცხადა გ. ᲑᲠᲐᲣᲜᲛᲐ, — უზრუნველყოფენ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების საარსებოდ მნიშვნელოვანი ინტერესების შემდგომი დაცვისათვის საკმარო პოტენციალს“. წამყვანი იმპერიალისტური სახელმწიფოს ახალმა „საზღვო დოქტრინამ“, მის შემოქმედთა აზრით, უფრო ეფექტიანად უნდა შეუწყოს ხელი მსოფლიოს ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების მიზნების მიღწევას. მაგრამ ეს კონცეფცია, რომელიც ეყრდნობა ყბადაღებულ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, იმაზე მეტი არ არის, ვიდრე აზიისათვის წარსულს ჩაბარებული „გუამის“, „წყნარი ოკეანისა“ და სხვა ამერიკული დოქტრინები, რომლებიც იქმნებოდა ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი საწინააღმდეგო მოქმედების მიზნით. ისევე როგორც წინანდელი დოქტრინები, ახალი მილიტარისტული კონცეფციაც გუმინდელი დოსკენაა მიმართული. იგი ეწინააღმდეგება ამ რეგიონის ხალხთა მისწრაფებებს, მათს მშვიდობისა და აღმშენებლობის იმედებს, და ჩასაფუშავად არის განწირული. (საკდესი).

ეუფლებიან პროფესიას

მომავალ მუშებთან

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული 540 ქალიშვილი და ჭაბუკი ეუფლება მუშის სპეციალობებს მაიაკოვსკის № 69 საშუ ლო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. მომავალში ისინი ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მექანიზატორები, მშენებლები, მკერავები, ამწყობი-ზეინკლები იქნებიან.

ამ სასწავლებელში ყველა პირობაა შექმნილი მეცადინეობის, მუშაობისა და დასვენებისათვის. მოსწავლეებს აქვთ 200 კაცისათვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კორპუსი, ფართო, ნათელი სასადილო, წითელი კუთხე, შენობები სპორტული სექციების მეცადინეობისათვის.

მაიაკოვსკის პროფტექსასწავლებლის ათასობით კურსდამთავრებული წარმატებით შრომობს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამშენებლო მოედნებზე, ფაბრიკა-ქარხნებში. ბევრი მათგანი ერთმანეთს უთავსებს მუშაობასა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლას. **ხურათელებზე:** ეს ახალგაზრდები ეუფლებიან ამწყობი ზეინკლის პროფესიას (მარცხნიდან მარჯვნივ): ფრიდონ გიგოშვილი, ემზარ ხინჩიაშვილი, მიხეილ ჩაფიძე, და რევაზ კამლაძე; მეცადინეობა მომავალი მკერავების ჯგუფში. წინა პლანზე იზოლდა ჭრელაშვილი, ნაილი ცეცხლაძე და მანანა კვეტენაძე.

ბ. ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შავი ზღვის მაცლობლად

სოხუმი, 28 მარტი. (საქინფორმის კორ. თ. ჯიბუტი). აფხაზეთის სოფელ აძიუბების მშრომელები საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ დიდი პროლეტარული მწერალ მაქსიმ გორკის დაბადების 110-ე წლისთავს. აქ, მდინარე კოდორის ნაპირას შავი ზღვის მახლობლად 86 წლის წინათ ალექსი პეშკოვმა მოიშობიარა ახალგაზრდა გლეხის ქალი. ეს შემთხვევა და აღგილი მწერალმა აღწერა თავის ცნობილ მოთხრობაში „დამიანის დაბადება". „ეს მოხდა 1892 წელს, შიშოლობის წელს, სოხუმსა და ოჩამჩირეს შორის, მდინარე კოდორის ნაპირზე, ზღვის მახლობლად...", — წერდა ა. მ. გორკი 1912 წელს ჟურნალ „ზაეფტიში" გამოქვეყნებულ მოთხრობაში.

ახლა იქ, სადაც გორკის შესანიშნავი მოთხრობის ამბები მოხდა, დგას საუბნო სასოფლო საავადმყოფოს ქართული შენობა. საავადმყოფოს გარშემო მდებარე სოფლების მშრომელებმა დიდი მწერლის პატივსაცემად მას „ადამიანის დაბადება" უწოდეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოუდგენელად შეიცვალა აფხაზეთის ეს თვალწარმტაცი კუთხე, სადაც გასული საუკუნის დამლევს ორიოლის გუბერნიიდან დამშეულ გლეხთა ჯგუფთან ერთად გზის მშენებლობასე ჩამოვიდა ნიჟინნოვგოროდელი მეშჩანინი ალექსი პეშკოვი.

„მდინარე კოდორის ნაპირას, ზღვის მახლობლად „გაშენდა ხელისა და ციტრუსის ბაღები, ჩაის, ნემსიწვერას და დაფნის პლანტაციები, შავი ბაიხოო ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკები, ხისდამუშავებელი კომბინატი, დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები. ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ აქ აფხაზები და ქართველები, რუსები და სომხები, უკრაინელები და ბერძნები, ბულგარელები და ესტონელები. ძველი თვიანთი ცხოვრებით ადასტურებენ ისინი აფხაზეთის ზეცის ქვეშ შობილი გორკისეული სიტყვების სიდიადეს: „საუცხოო თანამდებობაა ყო ამ ქვეყნად ადამიანი". აფხაზეთში უყვართ დიდი მწერალი. მისი სახელობისაა კოლმეურნეობები, სკოლები, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. წმინდად ინახავენ ალექსი მაქსიმეს ძის ხსოვნას აფხაზეთის ძველ სოფელ აძიუბებში.

ამ დღეებში სოფლის საავადმყოფოში ბევრ ახალშობილს დედებმა გენიალური მწერლის პატივსაცემად მაქსიმე დაარქვეს.

ᲚᲘᲜᲘᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

რევიზორი

ᲐᲜᲣ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ ᲒᲐᲜᲒᲔᲒ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲛᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ

ქართველ კაცს უთქვამს, სახელის გატეხა თავის გატეხა ჯობიაო. მაგრამ კარგ მთქმელ ხომ გამგონიც ქარგი უნდა. სამწუხაროდ, ეს ნათელი ქეშმარიტება ყველამ როდი შეითვისა. ჯერ კიდევ მოიძებნებიან სულმდაბლები, რომლებიც ცდილობენ ბნელი გზით იარონ, ბეწვის ხიდს გაიარონ.

ბოლო დროს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად ბევრი ბნელი საქმე ამხილეს, მაგრამ როცა მომხდარ შემთხვევებს ანალიზს ვუკეთებთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ყველს საკადრისად არ მიეზღო. განსაკუთრებით ის რევიზორები მყავს მხედველობაში, რომლებმაც მოვალეობა უსულგულოდ შეასრულეს, თავიანთი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენეს, რითაც სახელმწიფოს დიდი ზარალი მიაყენეს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ბათუმის ცენტრალურ უნივერმაღაზიაში აღმოაჩინეს 220 ათასი მანეთის გაფლანგვა-დატაცება. დატაცება ძირითადად ერთ სექციაში მოხდა. აქ დანაშაული წლების განმავლობაში მზადდებოდა, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაჯერება, თითქოს რევიზორებს შეეშფოთებიან დროს დანაკლისი ვერ ენახოთ. არც დაუჯერეს. აპარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს რევიზორები ნ. სალუქვაძე და რ. დოლიძე მთავარი დამნაშავეების გვერდით დასვეს. ზერელედ ჩატარებული რევიზიისათვის სასამართლომ მათ ერთნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რატომღაც გვჯერა, რომ საქმე არა „ზერელობასთან", არამედ ანგარებასთან გვაქვს.

საკონტროლო სარევიზიო მუშაობა მაღალ დონეზე რომ უნდა ეწყობოდეს, ამას მტკიცება როდი სჭირდება. მოსალოდნელი იყო, რომ აპარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ყოფილი რევიზორების ნ. სალუქვაძისა და რ. დოლიძის